თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა
და
საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს
შორის

ქ. ბათუმი ---- ნოემბერი, 2024 წელი

ერთი მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში „ბსუ“), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში „ბხსუ“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ თეიმურაზ კეჟერაძის მიერ (შემდგომში „მხარეები“), თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ურთიერთთანამშრომლობა და ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“* (შემდგომში „პროგრამის“) განხორციელების ხელშეწყობა.

2. მხარეთა თანამშრომლობის მიზნები, ამოცანები და უფლება-მოვალეობები

1. **მხარეთა თანამშრომლობის მიზნებია:**

ა) პროფესიული პრაქტიკის განხორციელება - მხარეებს შორის შეთანხმებული კონტინგენტის (ერთდროულად <u>არაუმეტეს 5 სტუდენტისა)</u> ფარგლებში მხარეთა შორის თანამშრომლობა და სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის (პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი) გავლა;

ბ) პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კვლევების (ეთიკური ნორმების დაცვით) განხორციელების ხელშეწყობა;

2. სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბების მიზნით მხარეები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება).

3. მემორანდუმის ამოცანებია:

ა) სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მხარეებმა მოაწყონ ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები განათლების სფეროს თანამედროვე პრობლემებსა და უწყვეტი განათლების საკითხებზე;

ბ) ხელი შეუწყოს ერთობლივი კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას;

გ) დაიგეგმოს თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზაციისთვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

დ) მოხდეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა/გაზიარება;

ე) საჭიროების შემთხვევაში მხარეებმა ისარგებლონ ერთმანეთის კუთვნილი ბაზითა და საგანმანათლებლო რესურსით;

ვ) უზრუნველყოფილი იქნას პრაქტიკის კომპონენტისა და კვლევის შედეგების გაზიარება-გაცნობა.

4. ორივე მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას მეორე მხარის შინაგანაწესით დადგენილი ნორმები, დაიცვას სტუდენტების, თანამშრომლების პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და სხვა უფლებები.

3. მემორანდუმის ვადა და დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **ხუთი წლის ვადით.**

2. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4. წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულება თუ მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

5. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი ინახება მხარეებთან;

6. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

7. მხარეთა რეკვიზიტები და საკონტაქტო ინფორმაცია:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158
მისამართი: 35/32 ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა,
ბათუმი
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

პროფ. მერაბ ხალვაში, რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496
მისამართი: ბათუმი, ზურაბ
გორგილაძის/ვაჟა ფშაველას ქ. №19/32
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge

პროფ. თეიმურაზ კეჟერაძე, რექტორი